

საჯარო მმართველობა და საინვესტიციო გარემო

სვანაძე სერგო – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Influence of Public Governance on Investment Environment

Svanadze Sergo – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Analysis of the investment environment, their generalization and development of proposals for the development of the existing public governance.

Develop proposals based on analysis of practical measures for improvement of investment environment within the existing public administration system.

Research methodology: The survey uses analysis and synthesis, data comparison, systemic and logical, normative, legislative and other approaches. Methodological basis represent legislative and subordinate acts, methodical instructions and commands, published public information, programs, scientific papers.

Results and implications: One of the most recent attempts to study, analyze, and generalize the functioning legislative-normative documents.

The remarks and recommendations will provide the basis for the improvement of the practices of the perfection of active factors, further improvement, their unification to the acceptable (possible) level and increase efficiency in that regard.

Conclusion: Determining the actions and proposals for further improvement of the issues of public governance sector in order to improve the investment environment for ensuring successful results.

Keywords: public, investment, events, program.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: არსებული საჯარო მმართველობის გათვალისწინებით საინვესტიციო გარემოს ანალიზი, მათი განზოგადება და სრულყოფისათვის წინადადებების შემუშავება.

მოქმედი საჯარო მმართველობის სისტემის ფარგლებში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების რეალიზების ანალიზის საფუძველზე წინადადებების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევაში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, მონაცემთა შედარების, სისტემური და ლოგიკური, ნორმატიული - საკანონმდებლო და სხვა მიდგომები. მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, მეთოდური მითითებები და ბრძანებები, გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია, პროგრამები, სამეცნიერო ნაშრომები.

შედეგები და გამოყენება: წარმოადგენს ფუნქციონირებადი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის, ანალიზისა და განზოგადების ერთ-ერთ უახლეს მცდელობას.

შენიშვნები და რეკომენდაციები საფუძველს შეუქმნის პრაქტიკაში მოქმედი ფაქტორების სრულყოფას, მის შემდგომ დახვეწას, მისაღებ (დასაშვებ) დონემდე მათ უნიფიცირებას და ამ მხრივ ეფექტულობის ამაღლებას.

დასკვნა: საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საჯარო მმართველობის სექტორის ღონისძიებათა აქტუალური საკითხების განხილვით მათი შემდგომი სრულყოფისათვის ქმედებათა, წინადადებათა განსაზღვრა წარმატებული შედეგების მიღების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: საჯარო, ინვესტიცია, ღონისძიებები, პროგრამა.

შესავალი, ზოგადი დახასიათება

აღნიშნული ნაშრომის ფორმატი არ იძლევა სრულად გაიხსნას და აიხსნას წარმოდგენილი საკითხი ან/და დაერთოს მასალა შესაბამისი დანართის სახით, ამიტომ აქ მხოლოდ ძირითად საკვანძო საკითხებზეა მსჯელობა.

ზოგადად, განვლილი ნახევარი საუკუნის ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიო ეკონომიკაში აღინიშნება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების მატება. 1975-2000 წლებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების საშუალო წლიური ნაკადები 25 მილიარდი დოლარიდან 1.3 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა. შემდგომ პერიოდში ადგილი ქონდა ამ პროცესების შენელებას (2003 წელს დაეცა 653 მილიარდ დოლარამდე), მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიმჩნეოდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების უფრო სწრაფი ზრდა, ვიდრე მსოფლიო ვაჭრობისა და და წარმოების მოცულობისა. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების საკმაოდ დიდი მოცულობის ბრუნვის შედეგად 2002 წელს მათმა გლობალურმა მარაგმა გადააჭარბა 7 ტრილიონ დოლარს.

დღევანდელი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო საკუთარი ეროვნული ეკონომიკური ინტერესების აბსოლუტიზაცია, გადადის სრულიად ახალ ეტაპზე-გლობალურ ეკონომიკაზე. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები წარმოდგენენ თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის შედეგს. მისთვის დამახასიათებელია კაპიტალის, ტექნოლოგიების, საქონლისა და შრომის ბაზრების ურთიერთდაკავშირება განვითარებული ტრანსეროვნული კორპორაციების მრავალფეროვან ქსელში.

თანამედროვე ეტაპზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (შემდგომში „უპი“) ზრდის ტემპი გამოწვეულია იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებებით, რომლებსაც ადგილი ქონდა მსოფლიოს მრავალ განვითარებად ქვეყანაში. დემოკრატიულ პოლიტიკაზე და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ცვლილებებმა ასტიმულირა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. აზიის, აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეკონომიკურმა ზრდამ, კერძო პროგრამებმა, რომლებიც ხელმისაწვდომია უცხოელი ინვესტორებისათვის და ამ ინვესტიციების გარშემო მრავალი შეზღუდვის აღმოფხვრამ, ხელსაყრელი საჯარო მართვის გარემოს ჩამოყალიბებამ ეს ქვეყნები გახადა მეტად მიმზიდველი უცხოური კომპანიებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 2002-2008 წლებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მარეგულირებელ კანონებში მომხდარმა 1641 ცვლილებამ შექმნა უპი-სათვის მეტად მოხერხებული გარემო. მთავრობათა სურვილი, გაადვილებულიყო მათი განხორციელება, აისახა ორმხრივი ინვესტიციების რაოდენობათა მკვეთრ ზრდაში. ეს ხელშეკრულებები ემსახურებოდა ორ ქვეყანას შორის არსებული ინვესტიციების დაცვას და ზრდას. 2002 წელს არსებობდა 181 ასეთი ხელშეკრულება, რომლის ოდენობა - 2181 ხელშეკრულებამდე გაიზარდა, რომელიც აერთიანებს 160-ზე მეტ ქვეყანას.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაცია აძლიერებს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორს, რაც არ უნდა იქნას აღქმული ცალსახად ნეგატიურად. რადგანაც იგი ამავდროულად აძლიერებს ამ ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულებასაც და მისი გაღრმავება და გაფართოება მოითხოვს ისეთი სამრეწველო ძალების გააქტიურებას, რომლებიც განიცდიან ტექნოლოგიური პროგრესის ზემოქმედებას.

ამასთანავე, ის საერთო მატერიალური წინამძღვრები, რომლებიც ხელ უწყობენ ამ კავშირების განვითარებას, არ უნდა იქნას აღქმული ისე, როგორც თავისთავად, ავტომატურად მოქმედი. ამ გზაზე არსებობს ბევრი წინააღმდეგობები, პირველ რიგში პოლიტიკის სფეროში, რომელიც

ზემოქმედებას ახდენს როგორც საერთაშორისო, ასევე ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათზე. ეკონომიკური ურთიერთობები და ბიზნესინტერესები მოქმედებენ არა ავტომატურად, არამედ სახელმწიფოების პოლიტიკური ურთიერთობებისა და ინტერესების გადაკვეთაზე კორექტირდებიან.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ, როგორც ეკონომიკურმა ფენომენმა, დადებითი გავლენა იქონია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობაზე. ამ ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის რაოდენობის ზრდით აისხნება. ამავე დროს მუდმივად იზრდება ინვესტიციები განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებიდან, ვინაიდან კონკურენცია და ეკონომიკური ზრდა აზიასა და სხვა განვითარებად ეკონომიკებში მათ კომპანიებს სხვა ქვეყნებში გაფართოებისაკენ უბიძგებს. ტრანსსაზღვრული შერწყმებისა და შენაძენების დონე 1980-იანი წლებიდან უპი-ს გლობალური შენაკადების მთავარი მამოძრავებელი იყო, რომლის პიკი იყო 2000 წელი, როცა შედგა 7900 ტრანსსაზღვრული გარიგება, რომელთა ღირებულება შეადგენდა 1.1 ტრილიონ დოლარს, თუმცა შემდგომ შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და 4200 ტრანსსაზღვრული შენაძენი განხორციელდა, რომლის ღირებულებაც 270 მილიარდ დოლარს შეადგენდა. შესაბამისად უპი-ს შემცირება ყველაზე მეტად დაეტყო განვითარებულ ქვეყნებს.

XXI-ე საუკუნის დასაწყისში დაფიქსირებული უპი-ს შენელებას განაპირობებდა შემდეგი მოვლენები:

1. მსოფლიო ეკონომიკის საერთო ზრდის სიჩქარის შენელება.
2. გაზრდილი გეოპოლიტიკური გაურკვეველობა, რომელიც 11 სექტემბრის მოვლენებს მოყვა (აშშ-ში ტერორისტული აქტით ტყუპისცალი ცათამბჯენების აფეთქება).
3. გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელის დაიწყო აშშ-ში და შეზღუდა მულტინაციონალური კომპანიებისა უნარი, რომ გაეზარდათ ის დამატებითი კაპიტალი, რომელის აუცილებელი იყო უპი-ს დასაფინანსებლად.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ყველაზე დიდი რაოდენობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებზე მოდიოდა, რადგან ფირმები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში არსებობდნენ, დებდნენ ფულს სხვა ქვეყნების ბაზრებში. აშშ ყოველთვის სასურველი ქვეყანა იყო ინვესტიციების დასაბანდებლად. ეს ტენდენცია გაგრძელდა 90-იანი წლების ბოლომდე, როდესაც აშშ დარჩა ინვესტიციების ყველაზე დიდ მიმღებად. 2000 წელს აშშ-მა ყველაზე დიდი რაოდენობით მიიღო ინვესტიციები, დააგროვა 281 მილიარდი დოლარი, როდესაც მსოფლიო უპი შეადგენდა 1.3 ტრილიონ დოლარს, ხოლო ევროპაში უპი-ს ნაკადები შეადგენდა 633 მილიარდ დოლარს. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლისათვის აშშ-სა და ევროპის ნაკადები დაეცა 30 და 374 მილიარდ დოლარამდე, რაც აიხსნება გლობალური ფინანსური კრიზისით, მე-2 ათწლეულში განვითარებული პროცესები ძირითადი ისტორიული ტენდენციების კურსში ჯდება.

ისტორიულად, აშშ ყოველთვის მიმზიდველი „სამიზნე“ იყო ინვესტიციებისათვის, მისი ფართო და მდიდარი ბაზრის, დინამიური და სტაბილური ეკონომიკის, სასურველი პოლიტიკური მდგომარეობისა და ინვესტიციებისადმი გახსნილობის გამო, რომელიც უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზით და საჯარო მართვის სისტემით.

განვითარებულ ქვეყნებზე მოდის უპი-ს უდიდესი ნაწილი, მაგრამ სულ უფრო და უფრო იზრდება ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებშიც. ასე მაგალითად, 1985-დან 1990 წლამდე განვითარებად ქვეყნებში უპი-ს ყოველწლიური ნაკადები საშუალოდ 27 მილიარდი დოლარით გაიზარდა. შედარებით ახალი ინვესტიციების ნაკადი შეინიშნება სამხრეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სწრაფად მზარდ ეკონომიკებში.

დიდი მნიშვნელობა გააჩნდა აგრეთვე ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაშიც უცხოურ ინვესტიციებს.

იზრდება აგრეთვე გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების წილი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოსულ ნაკადებში (მაგალითად, საქართველოში 2007 წლიდან ჩეხეთის კომპანიის - ენერგოპროჯორჯიას საქმიანობა, ასეთი არაერთი მაგალითით). უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კონცენტრაცია ამ რეგიონში, რომელშიც საქართველოც შედის, საკმაოდ მაღალი იყო: შემოსული ნაკადის 75 პროცენტი მხოლოდ სამ ქვეყანაზე - რუსეთზე, უკრაინასა და რუმინეთზე მოდიოდა.

გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების, როგორც ინვესტორი ქვეყნების როლის ზრდა შეიძლება გლობალიზაციის მზარდი ზეწოლით აიხსნას, რაც კომპანიებს აიძულებს კონკურენციისათვის იზრდონ როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე. ამის ახსნა ხარჯების შემცირების აუცილებლობითაც შეიძლება და აქტივების გაუმჯობესების საჭიროებითაც. ამასთან გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნები თავიანთ ინვესტიციებს, სავარაუდოდ, ასეთივე ტიპის სხვა ქვეყნებში დააბანდებენ და რომ ეს ინვესტიციები მიმღები ქვეყნების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, ვინაიდან ინვესტორი ქვეყნები მსგავს ტექნოლოგიებსა და წარმოების შედარებით შრომატევად მეთოდებს იყენებენ. ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს შეუძლია დიდი სარგებლობა მიიღოს ისეთი აღმოცენებადი მეზობელი ბაზრების ინვესტიციებით, როგორცაა თურქეთი ან უკრაინა (მიუხედავად მიმდინარე ეტაპზე იქ არსებული მდგომარეობისა).

ამასთან, საგარეო ეკონომიკური კავშირებით მსოფლიო ბაზარის საქონლისა და მომსახურების მოთხოვნა გადაიტანება ამა თუ იმ ქვეყნის შიდა ბაზარზე. ეს კი იწვევს მოთხოვნას საწარმოო ძალების განვითარებაზე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის დარგების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ...) მწარმოებლურობის ამაღლებას კონკრეტულ ქვეყანაში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის აქტიური ჩართვა მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის მიმდინარე პროცესებში არა თუ საჭიროა, არამედ აუცილებელიცაა და ამ საქმეში ძირითადი მამოძრავებელი საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარება საინვესტიციო პროცესის გაძლიერების მეშვეობით.

ზემოაღნიშნულის შემდეგ განსჯისათვის წარმოვადგენთ:

ისტორიული განვითარების პროცესის გათვალისწინებით საქართველოს მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველი არის ინსტიტუციური რეფორმები, ინვესტიციური ნაკადების გადიდება. ამ უკანასკნელის თვალსაზრისით ადგილობრივი კაპიტალის შესაძლებლობები მოკრძალებულია, ამიტომ ქვეყნის წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ინტეგრაციას.

ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ინვესტორებისათვის სულ უფრო მიმზიდველი ხდება. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ დარგობრივ სტრუქტურაში მომსახურების სფერო დომინირებს. საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და მეტი კაპიტალის მოსაზიდად ადეკვატური პოლიტიკის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია იმ კომპანიების მოტივაციის გაანალიზება, რომლებიც საქართველოში აბანდებენ კაპიტალს (ჩვარდნილი ან/და ნაკლებ ეფექტური საინვესტიციო პროგრამები-ფოთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, კობულეთი ტურისტული ზონა,.....) ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ უნდა შევისწავლოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიკროსაფუძველები, ვინაიდან მთლიანი და აგრეგირებული ციფრები ხშირად არასწორ შთაბეჭდილებას გვიქმნიან და მცდარ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებამდე მივყავართ.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც საქართველოში ინვესტიციების სტრუქტურის ანალიზის დროს უნდა იქნას მხედველობაში მიღებული არის ის, რომ მათ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა პრივატიზაცია ქსელურ ინდუსტრიებში (ტელეკომუნიკაციები, ელექტროენერჯის წარმოება და განაწილება, პორტები, ნავთობტერმინალები), უძრავ ქონებაში (სასტუმროები), მძიმე მრეწველობაში ან ნედლეულის მოპოვებაში (შავი ლითონები, სასუქები). პრივატიზაციის შედეგად მიღებული საინვესტიციო ნაკადები ერთჯერადია, თუ მათ არ მოყვება შემდგომი მსხვილი კაპიტალდაბანდება. უძრავი ქონება, მძიმე მრეწველობა და ნედლეულის მოპოვება შედარებით ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკის ზრდას, ვინაიდან ისინი არ ზრდიან საწარმოო სიმძლავრეებს და დასაქმებისა და დამატებითი ეკონომიკური ეფექტების შექმნის შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. უძრავ ქონებასა და ქსელურ ინდუსტრიებში განხორციელებული კაპიტალდაბანდებები დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მაგრამ წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით ნაკლებ ეფექტიანია.

დღეისათვის, თანამედროვე, შედარებით დინამიურად განვითარებად კომპანიებს, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, უფრო ხშირად თავიანთი საქმიანობა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გადააქვთ. ისინი ითვალისწინებენ იმას, რომ მიმღები მხარის ფირმები ფლობენ მეტ ცოდნას მოსახლეობის მოთხოვნებზე და ადგილობრივი ბაზრის განსაკუთრებულობაზე. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერაც. ამ მეტად რთული და წინარმდებოვრივი ხასიათის პროცესების მიუხედავად, დღევანდელი განვითარებადი ქვეყნების და მათ შორის საქართველო, როგორც ხელისუფლების და საჯარო მართვის კუთხით, ისე მოწინავე საწარმოები და ბიზნესი უნდა ისწრაფვოდნენ საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების გაფართოებისაკენ და მის წიაღში საინვესტიციო პროცესების გაძლიერებაში, რაც აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

- საწარმოო ძალების მოდერნიზაციისა და სრულყოფის აუცილებლობა
- ვიწრო შიდა ბაზრიდან გასვლის მცდელობა
- თანამედროვე სრულყოფილ და ეფექტურ ტექნოლოგიებთან მისაწვდომობის შესაძლებლობა

ასევე რიგი სხვა მიზეზებით, რომლებიც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარების საფუძველია.

ამდენად, თუ გავანალიზებთ საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრაგმენტული და ნაკლებად მდგრადია. საშუალოვადიან პერსპექტივაში მათ უნდა დაემატოს კაპიტალდაბანდებები ისეთ წარმოებაში, რომელიც დასაქმებისა და ექსპორტის ზრდას შეუწყობს ხელს. პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევა ისეთ დარგებში, როგორც კვების პროდუქტების გადამამუშავება (ღვინო, თხილი, მინერალური წყლები და სხვა). საექსპორტო საქონლის გადამამუშავებაში ინვესტირების ცალკეული შემთხვევები აღინიშნება საფეიქრო მრეწველობაშიც. საზოგადოდ, საქართველომ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა ახალ მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში კაპიტალის მოზიდვაში.

ზოგადად მსოფლიოში მძაფრი კონკურენცია მიდის ქვეყნებს შორის საინვესტიციო რესურსების მოზიდვის კუთხით და სახელმწიფო ხელისუფლებები, საჯარო მართვის სისტემები მოწოდებული არიან ხელი შეწყობისაკენ ამ კუთხით. საქართველოში არც გამოვა და არცაა სწორი სრული ცენტრალიზაცია და მართვის სადავეების აღება საინვესტიციო პროცესებისა ხელისუფლების მიერ, მაგრამ უნდა იყოს განსაზღვრული ძირითადი ჩონჩხი-ბირთვი საინვესტიციო მიმართულებებისა და/ან თემებისა, რომელიც შესაბამისი ღონისძიებებით ფართოდ იქნება აფიშირებული და ქვეყნის განვითარების სტრატეგიის გათვალისწინებით წარდგენილი, მიწოდებული, შეთავაზებული

ბიზნესზე და აღნიშნული სარეკომენდაციო მიმართულებებში კონკურენცია (ჯანსაღი) უნდა წავიდეს ინვესტირების მოცულობის, დონის ამაღლების, საინვესტიციო პროცესის სრულყოფა-გამლიერების და მთლიანად ამ მიმართულებით ბიზნესის სფეროს დაინტერესების კუთხით საქმიანობის ხარისხის ამაღლებაზე, შესაბამისი პრესტიჟის მოპოვებაზე და აღნიშნულის საფუძველზე სასურველი საინვესტიციო რესურსების მოზიდვაზე.

საინვესტიციო პოლიტიკა და გარემო სულ სხვა სიბრტყეზე უნდა იქნას გადატანილი, გაშლილი, რომელიც საბოლოო ჯამში ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით განხორციელებადი ბიზნესაქტივობით იქნება გამართლებული და ამ საკითხში განმსაზღვრელი ფაქტორები განპირობებული იქნება თაბარ პირობებში კონკურენციულ გარემოში საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობით და ბიზნესის დაინტერესების უნარით: ესაა ზოგადად მთლიანი პროცესის სწორად ორგანიზება, რისთვისაც მათ შორის აუცილებელია შესაბამისი პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა, ადაპტირებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა, პრაქტიკასთან და ბაზრის მოთხოვნებით განპირობებული საინვესტიციო პროცესის გამლიერება და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს სრულყოფილი, დახვეწილი საინვესტიციო პროგრამის დამუშავებამ და სახელმძღვანელო დოკუმენტად წარმოდგენამ, ვინაიდან პროგრამის მიზანი და მისაღები შედეგები ქვეყნის სტრატეგიული განვითარების იდენტურია.

აღნიშნული პროგრამების და ამ შემთხვევაში ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გათვალისწინებით საინვესტიციო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტი რათქმაუნდა დამუშავებული უნდა იქნას მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და გამოცდილი კადრების, სპეციალისტების მიერ და ამ კუთხით პოლიტიკის განმსაზღვრელი, წარმმართველი ვინ უნდა იყოს თუ არა ხელისუფლება, შესაბამისი პროფილური სამინისტროები და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

კარგი იქნებოდა მთლიანი საინვესტიციო პროგრამა-სტრატეგიის ფარგლებში მოდულური პროექტების მაგალითზე საერთო საინფორმაციო-ანალიტიკური მასალა დამუშავებულიყო შესაძლო და დაშვებადი კონკრეტულობით და წარდგენილიყო ე.წ. „საინვესტიციო ბაზარზე“, რითაც მოიხსნებოდა რიგი საკითხი დაინტერესებისა და პირველადი ინფორმირებულობის კუთხით, ოღონდ ეს უნდა შეიმნას კოლექტიური შრომით შესაბამისი მიმართულების მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მიერ არსებული რეალობის გათვალისწინებით.

ვინაიდან „თამაშის წესები“ არ არის სრულად სწორად განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ და საჯარო მართვის არსებული სისტემა სრულად ვერ პასუხობს დღევანდელი დღის გამოწვევებს (რისი მაგალითიც არაერთი ჩავარდნილი საინვესტიციო პროექტია, მათ შორის სახელმწიფოს მიერ ლობირებადი და წახალისებული), აღნიშნული საკითხები ვინ უნდა დაარეგულიროს თუ არა ორგანომ, რომელიც პოლიტიკის განმსაზღვრელია ამ სფეროში ან მისმა შესაბამისმა საუქვეყნეულობა დაწესებულებამ.

ამ მდგომარეობის გამო მიღებული შედეგის საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი მომენტიც: რეალურად ცალკეული ფაქტებია საინვესტიციო პროექტებისა, განსაკუთრებით მსხვილი საინვესტიციო პროექტებისა, ისიც რაც შემთხვევებში პოლიტიკურად მოტივირებული.

ასევე განსაკუთრებით აქტუალურად მეჩვენება სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობა, დაფინანსების საკითხი და თემები, ანუ როცა ვხარჯავთ სახელმწიფო თანხებს-მაგრამ ეს კიდევ სულ სხვა პრობლემაა, სხვა შეფასებით და ანალიზის საჭიროებით.

აქ მხოლოდ მცირე ნაწილია ზოგადად წარმოჩენილი საკითხებისა, რომელიც საჭიროებს რეაგირებას და გადაწყვეტას საერთო სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ვინაიდან დღევანდელი გლობალიზაციის პროცესების და კონკურენციის გამძაფრების პირობებში საინვეს-

ტიციო სფეროში სტატეგიების შემუშავება და მისი საჯარო სფეროს პასუხისმგებლობიდან მართვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამართული საქმიანობითა და მოქნილი პასუხისმგებელი (პოლიტიკის შემუშავებაში და ხელსაყრელი გარემო-პირობების შემნის უზრუნველყოფაში საჯარო მართვის კუთხით და არა უშუალოდ ბიზნეს ოპერირებაში ჩართვით) სისტემის ჩამოყალიბებითაა მიზანშეწონილი და ამ სისტემის ფარგლებში საქართველოს მომავალი საინვესტიციო მიმზიდველობა (ე.წ. „საინვესტიციო ოაზისი“) ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და უაღრესად საპასუხისმგებლო საკითხია მომავალი თაობებისა და საქართველოს წინაშე.

აღნიშნულ ნაშრომს არა აქვს პრეტენზია რომ მიღებული და გაზიარებული იქნას უაპე-ლაციოდ, მაგრამ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საინვესტიციო პოლიტიკა და საინ-ვესტიციო გარემო აუცილებლად რომ საჭიროებს სრულყოფა-დახვეწას უალტერნატივოა და ამ მიმართულებით განსჯა-დისკუსიისა და საკითხის ადგილიდან დამკრისათვის წინამდებარე ნაშრომიც არის გათვალისწინებული.

გამოყენებული წყაროები:

- [1] საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. 12.22.1996 წელი # 473
- [2] საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. 30.06.2006 წელი #3424
- [3] მადონა გელაშვილი; „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ცვლილების ტენდენციები“; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები“, ქუთაისი 2010.გვ 32-35
- [4] დევი შონია; „საგარეო ეკონომიკური კავშირების აქტუალური საკითხები თანამედროვე ეტაპზე“; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები“, ქუთაისი 2010.გვ 75-81